# მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 12 დეკემბერი, 2015წ. №3-4(13-14)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-
– ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი






,,მთავარია, გავაღვიძოთ ხალხში ეროვნული თვითშეგნება, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. მივცეთ ხალხს ცოდნა ჩვენი ისტორიის, ჩვენი ეროვნული ვინაობის შესახებ, რათა ქართველნი აღარ წამოეგონ უმეცართა და შეგნებულ პროვოკატორთა ანკესზე, რომელთაც მიზნად დაუსახავთ საქართველოს კუთხეებად დაქუცმაცება და მტრისთვის ხელის შეწყობა მისი მოსპობასა და ასიმილაციაში''

ზ.გამსახურდია

# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაური - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი 70 წლისაა



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 70 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურს - საქართველოს რესპუბლიკის პრეზი-დენტის მოვალეობის შემსრუ-ლებელსა, საქართველოს რესპუბლიკის დევნილობაში მთავრობის თავმჯდო-მარეს, უბადლო, გამორჩეულ პიროვნებას, ჩვენს უახლოეს უფროს მეგობარსა და თანამებრძოლს - ბატონ ბესარიონ გუგუშვილს!

ბატონ ბესარიონსა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



## „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აგერ უკვე ოცდაოთხი წელია კვლავ რთული და მძიმე პერიოდია საქართველოში.

ოცდაოთხი წელია არ შემწყდარა ეროვნულ–სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობით ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლა სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის რთულ სამართლიან გზაზე.

ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, საზოგადოების პოლიტიკური ინტრიგებით მეტისმეტად გატაცებამ, მერკანტილური ინტერესების ასრულების დაუოკებელმა ჟინმა ქართული სახელმწიფოებრიობა საფრთხის წინაშე დააყენა.

სამწუხაროდ, დღესაც, საქართველოში მძვინვარებს ანტიდემოკრატიული, ანტიეროვნული, ანტისარწმუნოებრივი, ანტისახელმწიფოებრივი მარიონეტი და მოძალადე რეჟიმი, რომელიც აგერ უკვე ბოლო ოცდაოთხი წელია დემოკრატიის ნიღბით, არამარტო საკუთარ ხალხის, არამედ მსოფლიო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანას ცდილობდა და ცდილობს კვლავაც.

„დემოკრატიული არჩევნების“ ფასადებით შელამაზებითა და ცრუ „ოცნების“ გზით პუტჩი დღესაც გრძელდება საქართველოში.

საერთო-სახალხო გამოფხიზლებისაკენ ქმედების დროა!

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების ერთადერთი გზაა სახელმწიფოს სამართლებრივ, ლეგიტიმურ რელსებზე დაბრუნება და უზენაესი კანონიერების აღდგენა საქართველოში.

ჭეშმარიტად დროა ზევრად მტკიცედ ვიცავდეთ ეროვნული ხელისუფლებისა და ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის პრინციპებს!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“ საქართველოს რესპუბლიკის დევნილ, ემიგრაციულ მთავრობასთან და საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პარტიათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოსთან“, ასევე, სხვა ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივი სახელმწიფოებრივი ნიშნის მქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად კვლავაც მზადაა კანონიერების სამართლებრივი აღდგენის პრინციპებით სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის გასაგრძელებლად.

და თუ ამ ბრძოლაში კიდევ სხვა ნებისმიერი, ეროვნულ–სარწმუნოებრივი ძალა ჩაერთვება, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით მათ.

კვლავაც, ვაცნობიერებთ რა ქვეყანაში შექმნილ რთულ და საფრთხის შემცველ ვითარებას, ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობის გრძნობით მივმართავთ სრულიად საქართველოს:

ჩვენ ვგმობთ ძალადობაზე, შიშზე, არასამართლიანობაზე, უკანონობასა და ტყუილზე დაფუძნებული, დღემდე არსებული, ყველა უკანონო ხელისუფლების „მოღვაწეობას“ და მოგიწოდებთ, ყველამ უნდობლობა და დაუმორჩილებლობა გამოვუცხადოთ ვითომ დემოკრატიულად და ვითომ არჩევნების გზით მათი ძალაუფლების მორიგ გახანგრძლივებას, როგორც დამნაშავე, უზნეო მმართველობის რეჟიმის მემკვიდრეთა და არსებულ საყრდენს.

სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, „ამისტებად“ და „იმისტებად“ დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება და რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობაა. ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება და კვლავაც ომახიანად, ხმამაღლა, ისმის ჩვენი ჭეშმარიტად მამულიშვილური სიტყვა:

„აი. მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, დანო და ძმანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ:

ქართველო ერო, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კვლავ მივიდა გზა გასაყართან.

შენს წინაშე არის ორი გზა, აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა. აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და, აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა!

აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებულ იყოს უკუნისამდე.

ჩვენ, ძმანო და დანო, ვდგევართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ზედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური

გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით, საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება." კურთხეულ იყოს და გაუმარჯოს ილია მართლის გზას, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გზას!

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე და კანონიერი ხელისუფლების ინსტიტუციები, კვლავაც ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებასა და მხარდაჭერას საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი კონსტიტუციისა და სახელმწიფოებრიობის მიმართ!

მოვუწოდებთ, უცხოეთში და საქართველოში მცხოვრებ ჩვენს მამულიშვილებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს და სხვა ერების ღირსეულ შვილებს, ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის გზით, მტკიცედ დაადგნენ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების სამართლებრივ გზას საქართველოში.

სამართლებრივი და კანონიერი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ დაფუძნებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონსტიტუციურად პირველი ეტაპის მთავარი მიზანი იყო, ორგანულად უკავშირდებოდა, შემდგომ პერიოდში, შემდგომი ეტაპის - ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით, მსოფლმხედველობითა და იდეოლოგიით დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ სწრაფვას, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ხასიათის სახელმწიფოდ გარდაქმნა-ჩამოყალიბებას.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე საქართველოში სამართალმემკვიდრეობის, კანონიერების, სამართლებრივი და კანონიერი ყველა სახის არჩევნების დანიშვნითა და ჩატარების გზით ეროვნული ხელისუფლების აღდგენის საქმეში.

დღესაც, კვლავ ამაყად ვაცხადებთ, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი"), დღესაც არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს ბატონ მერაბ კოსტავასთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად ჩამოყალიბებული „ჰელსინკის ჯგუფის", შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა" და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებას" დღემდე არ შეუწყვეტია არსებობა და ბრძოლა სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის, რასაც დღემდე არსებული ყველა ფაქტობრივი, ძალაუფლების მქონე საქართველოს მთავრობები აღიარებენ და რაც მთავარია, იგი აღიარებულია და ამ ბრძოლაში მას ყოველთვის გვერდით ედგა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლობა - საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის სახით.

ჩვენ კი, კვლავ მტკიცედ ვაცხადებთ და ვადასტურებთ, რომ დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის დევნილ, ემიგრაციულ მთავრობას, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაური და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი, დევნილი, ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე - ბატონი ბესარიონ გუგუშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარის მიერ მზადდება, ყალიბდება და ფართოვდება დევნილი (ემიგრაციული) მთავრობის შემადგენლობის განახლება და აღორძინება. ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარის დავალებითა და ხელმძღვანელობით, საქართველოში არსებული წარმომადგენლობის შერჩევის წესისა და წევრთა განსაზღვრის საქმიანობაში, ასევე, მათი სტატუსის, შესაბამისი ფუნქციებისა და აუცილებელი დოკუმენტაციების შემუშავება-შედგენაში აქტიურ მონაწილეობას იღებს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებაც", რომელმაც უკვე საკმაოდ დიდი სამუშაო გასწია ამ მიმართულებით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება", ასევე, ყოველთვის მზადაა, ყველა ეროვნულ-სარწმუნოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან შემდგომი წარმატებული მოლაპარაკებებისათვის, საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანება - „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" რეკონსტრუქციისა და მისი მუშაობის განახლებისათვის, რისთვისაც მას შემუშავებული აქვს გაერთიანების რეკონსტრუქციისათვის შესაძლო ყველა სქემა და სტრუქტურა.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება", ასევე, მიიჩნევს, რომ:

ა) 1991-93 წლების სახელმწიფო–სამხედრო გადატრიალებისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების იურიდიულ–სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასების შესახებ, საკანონმდებლო დონეზე შესრულებული დადგენილების იურიდიულ-სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგეს - 1991-1993 წლების სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალებისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების სრული და ობიექტური გამოძიების საკითხი;

ბ) საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის, აუცილებელია გადაჭრას უპირველესი პრობლემა – უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციის, კანონიერების, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რამეთუ ლეგიტმურო-ბის აღდგენის აუცილებელი ნიშანია არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა, არამედ – ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს გადასარჩენად და, რომ, საქართველოში, ლეგიტიმური ხელისუფლება შეიძლება, იყოს მხოლოდ კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება და არა – ამა თუ იმ დამპ-ყრობლის მიერ დასმული რომელიმე მარიონეტული ორგანო;

გ) როგორც წესი, არჩევნების კანონიერებას განსაზღვრავს მისი პერიოდულობა, დანიშვნისა და ჩატარების პროცესი: კანონიერი არჩევნები ინიშნება და ტარდება ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ. კანონიერი ხელისუფლება აგრეთვე ამტკიცებს სათანადო საარჩევნო კანონს და ხელმძღვანელობს არჩევნების პროცესს. მხოლოდ ამგვარი გზით ხდება მომდევნო ხელისუფლება კანონიერი და წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრე. ამავე დროს, თუკი არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულად და საყოველთაოდ, მაღალი იქნება მისი ლეგიტიმურობის ხარისხიც;

დ) „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების ერთ-ერთი კანონიერი ინსტიტუცია, მზადაა იყოს ამ პროცესების წარმმართავი ძალა, აიღოს ინიციატივა და ემიგრაციულ კანონიერ მთავრობასთან კოორდინაციაში მყოფმა, შესაბამისი დროისა და სიტუაციის პირობებში, ემიგრაციულ მთავრობასთან შეთანხმებით, დაიწყოს მოლაპარაკებები ფაქტობრივ სახელმწიფოებრივ მთავრობასთან, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ, არასამთავრობო, თუ საერთაშორისო შესაბამის ორგანიზაციებთან, საქართველოში სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობის, კანონიერებისა და სახელმწიფოებრივი ლეგიტიმურობის აღდგენისათვის.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა, უპირველეს ყოვლისა ნიშნავს, სახალხო მოთხოვნით საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური დევნილი, ემიგრაციული მთავრობის მიერ სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზისა და მის საფუძველზე ქვეყანაში განხორციელებული კანონიერი საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენას;

ე) საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გაგრძელდეს მუშაობა და მომზადდეს ეროვნულ–სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებული და სახელმწიფოებრივ–სამართლებრივი ძირითადი საკანონმდებლო ბაზა;

ვ) ასევე, სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისათვის უნდა შემუშავდეს და მომზადდეს: სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის სამართლებრივი მეთოდიკა, მექანიზმები და უზენაეს სამართლებრივ ბაზაზე დაფუძნებული ახალი ეროვნული კონსტიტუციის პროექტი;

ზ) სანამ არსებობს ხუნტის სამართალმემკვიდრე, არაკანონიერი ფაქტობრივი ხელისუფლება და მის მიერ შეკოწიწებული უკანონო მთავრობა, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ დამფუძნებელმა და ძირითადმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა უნდა განაგრძონ აქტიური ბრძოლა უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ;

თ) სასურველია, შემლებისდაგვარად, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობამ – ემიგრაციულმა მთავრობამ, საზღვარგარეთ, მოღვაწეობისათვის, შექმნას თანამედროვე, აქტიურად მოქმედი „ახალი ლევილის“ ტიპის სამთავრობო, საემიგრაციო მოღვაწეობის ფუძე–სამყოფელი, საიდანაც განახორციელებს თავის სავალდებულო საქმიანობას, ხოლო საქართველოში მისი წარმომადგენლობა იმოქმედებს შესაბამისად, მშვიდობიანი, პოლიტიკური მეთოდებით.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებასთან", მისი ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების დახმარებით შეიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაცია - „ადამიანის უფლებათა დაცვის კავკასიის ცენტრი“ (“Caucasus Center of Human Rights Watch"). „კავკასიის ცენტრი“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე „კავკასიის ცენტრი“ მოქმედებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. „კავკასიის ცენტრს“ შეუძლია იყოს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სტრუქტურების ნამდვილი, ან ასოცირებული წევრი. „კავკასიის ცენტრს“ შეუძლია კანონით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს სხვა იურიდიულ, ან ფიზიკურ პირებთან ორგანიზაციების დაფუძნებაში, თუ მათი საქმიანობა შეესაბამება „კავკასიის ცენტრის“ საწესდებო მოთხოვნებს. „კავკასიის ცენტრს“ შეუძლია ატარებდეს სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, სემინარებს, გამოსცეს საინფორმაციო და სარეკლამო ლიტერატურა, ჰქონდეს გაზეთი, ჟურნალი, ვებ-გვერდი, შეიმუშაოს და დაამტკიცოს საჭირო პროგრამები, მიიღოს და გასცეს გრანტები და ჰუმანიტარული დახმარებები, დააწესოს წამახალისებელი ჯილდოები და პრემიები.

„კავკასიის ცენტრის“ საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპად აღიარებულია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. „კავკასიის ცენტრი“ იბრძვის ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ და მისი საქმიანობის ძირითადი მიზნებია - ბრძოლა საქართველოსა და კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის, ასევე მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომლებიც განსაზღვრულია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად საერთაშორისო სამართლის ნორმებთან თანხვედრაში და გათვალისწინებით. – „კავკასიის ცენტრი“ პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის განმგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

დასახული მიზნების მისაღწევად, „კავკასიის ცენტრი“ მჭიდროდ თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ქვეყნის შიდა უფლებადამცველ და სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან, რომლის საქმიანობა არ ეწინააღმდეგება „კავკასიის ცენტრის“ საქმიანობასა და წესდებას. „კავკასიის ცენტრის“ გამგეობის წევრები არიან: დავით კაპანაძე (თავმჯდომარე), ნათია მუკბანიანი, რატი გაგოშიძე, ნოდარ კიკნაძე და ნუკრი ბაღდავაძე.

# საქართველო
# -
# ქართული მართლმადიდებლური სახელმწიფო

**დემნა თორელი (დავით კაპანაძე)** - ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" პრეზიდიუმის წევრი, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრი.



უპირველეს ყოვლისა, სანამ დავიწყებდეთ საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე საუბარს, აუცილებლად მიგვაჩნია ამ ქვეყნის სახელწოდების, „საქართველოს“ არსის განსაზღვრა - რა დროს წარმოიშვა და რა იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელია იგი.

უხსოვარი დროიდან ქართველური ტომები განსახლებული იყვნენ გაცილებით დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე საკუთრივ დღევანდელი საქართველოა თავის ისტორიულ-პოლიტიკურ საზღვრებში. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ როდის გაჩნდა ერთიანი ქართული ცნობიერება და ეროვნული თვითშეგნება, ძნელი სათქმელია, რადგან, ჯერ ერთი, გამოსაკვლევი და შესასწავლია ისტორიული მასალების დიდი ნაწილი, მეორე - ნაწილი ამ ისტორიული მასალებისა დაკარგული ან განადგურებულია გაუთავებელი ომიანობის გამო. რიგად, დაყრდნობა შეიძლება უცხო ქვეყნების ისტორიულ მასალებზე, მაგრამ მათი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ნაკლებად სავარაუდოა მათთან წვდომის შესაძლებლობა.

როგორც ვხედავთ, საქმე იქამდე მიდის, რომ ისტორიის დაუწერელი კანონიდან გამომდინარე, იძულებულები ვხდებით დავეყრდნოთ ისეთ ქართველ ავტორიტეტებს, რომლებიც ასე თუ ისე ჩვენი თანამედროვეები არიან და ჯერ კიდევ შეიძლება მათზე გაყალბებულ და ნამდვილ ისტორიებს შორის გარკვევა. ეს ეხება XIX-XX საუკუნის დიდ ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთა შესახებ ისტორიული ცნობების გაყალბება ვერ მოხერხდა და ის დღემდე ცოცხლობს ქართველი ერის მოაზროვნე ნაწილში.

რაც შეეხება იმას, თუ თავიდანვე რატომ შევეხეთ ისტორიულ საკითხს:

1- ისტორიული ფაქტების გარეშე არ არსებობს სამართალმემკვიდრეობა, ხოლო სამართალმემკვიდრეობის გარეშე - ლეგიტიმაცია;

2 - ისტორიული ფაქტები ნაწილობრივ განსაზღვრავს ქვეყნის ამჟამინდელ პოლიტიკურ სტატუსსა და ორიენტაციას;

3 - ნამდვილ და გაუყალბებელ ისტორიაში დევს ქვეყნის მისია, თუ რა როლი აკისრია მას კაცობრიობის წინაშე;

4 - ისტორიის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ერის მომავალი არსებობა და აქედან გამომდინარე ვერც ჯანსაღი, ეროვნული სახელმწიფო იარსებებს;

5 - ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი: ჭეშმარიტი ისტორიის ცოდნა პირდაპირ განსაზღვრავს ერის მენტალიტეტს, სახელმწიფოებრივი აზროვნების დონეს და საუკეთესოდ იცავს მას იდეოლოგიური გადაგვარებისაგან. მეორე და ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორი იმის განსაზღვრაში, თუ რას ნიშნავს ეროვნული სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ-სარწმუნოებრივ მრწამსა და პრინციპებზე, არის ეროვნულობის განსაზღვრა - რა არის ეროვნება? რა განსაზღვრავს ერის არსებობას? ერი არის ერთი ბედ-იღბალის, ერთი ისტორიის, ერთი ენისა და ერთი სარწმუნოების მქონე მონათესავე ეთნიკური ტომებისაგან საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ხალხთა ერთობა, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს ერთი ეროვნული თვითშეგნება, ერთ ენაზე აღავლენენ ღვთისმსახურებას, ანუ ერთ ენაზე ესაუბრებიან ღმერთს და ერთ ენაზე აწარმოებს ყველა სახელმწიფო საქმეს . . .

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია თავის ესსეში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ში მკაფიოდ აღნიშნავს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ენას - რომ ის შუასაუკუნეების საქართველოში კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა და აღნიშნავდა ერს, მოდგმას, ანუ ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხს: - „საკმარისია ღრმად ჩავუკვირდეთ წინადადების შინაარსს და ნათელი გახდება ამგვარი ინტერპრეტაციის ცალმხრივობა ვინაიდან „ენა“ ძველ ქართულში, ისევე როგორც სხვა ძველ ენებში, მხოლოდ ენას კი არ ნიშნავდა, არამედ ხალხს, ეროვნებას, მოდგმას.“ - ბრძანებს ბატონი ზვიად გამსახურდია.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ ეროვნება არის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი სახელმწიფოს არსებობისა, მაგრამ, ამავდროულად, ჩნდება ლოგიკური კითხვა - რატომ არსებობენ სახელმწიფოები, რომლებშიც თანაცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნებისა თუ რელიგიის წარმოამდგენელი ხალხები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ ვრცელ გაანალიზებას და თემის გაშლას მოითხოვს, მაგრამ ამ შემთხვევაში შევეცდებით მოკლედ და გასაგებად ავხსნათ მსგავსი მოვლენა. პირველ რიგში უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ არსებობს სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფორმები, გამომდინარე მათი ჩამოყალიბების მიზეზებიდან.

პირველი, ეს არის ეროვნული სახელმწიფო, სამეფო ან თუნდაც მოგვიანებით რესპუბლიკა, რომელიც დაფუძნებულია მონათესავე ტომების მიერ საუკუნეები სმანძილზე ჩამოყალიბებულ ხალხთა ეთნიკურ, რელიგიურ და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებზე, რომელიც წარმოიშვა გარკვეულ გეოგრაფიულ-კულტურულ არეალში და ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა ერთ ერად, რომელიც თავის თავში გარდაუვალად მოითხოვდა ერთიანი სახელმწიფოს არსებობას, ერთი მმართველის, ერთი დროშის, ერთი ენისა და ერთი რელიგიის ქვეშ.

მეორე, ეს არის იმპერია, რომელიც თავიდან ჩამოყალიბდა გარკვეულ გეოგრაფიულ-კულტურულ არეალში, მაგრამ ისტორიის გარკვეულ პერიოდში, როდესაც მოხდა ამ ერის მიერ სახელმწიფო სჩამოყალიბება, ისტორიული ფაქტორებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა ეროვნული სახელმწიფოს დაფუძნება და ერთი იდეოლოგიური იარაღით გაერთიანებულმა მონათესავე ხალხებმა ნაცვლად ეროვნული სახელმწიფოს შექმნისა, დაიწყო ძალმომრეობით უცხო ტერიტორიებისა და ხალხების თავის თავდაპირველ ,,ეროვნულ" სახელმწიფოსთან შემოერთება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში დამპყრობელი ერი იყენებდა ყველა მის ხელში არსებულ იმ იარაღს, რომელიც ისტორიის გარკვეულ ეტაპზე მას მიეცა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის და არა სხვა ერებისა და ტერიტორიების დასაპყრობად. დამპყრობელი ერი იძულებული იყო იმპერიის შესანარჩუნებლად ძალით მოეხდინა ერთი ენის, ერთი რელიგიისა და ერთი კანონმდებლობის დაფუძნება მთელს იმპერიაში. მსგავსი ქმედება კი არის ხალხთა ბუნებრივი განვითარებასა და სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესებში ძალისმიერი სამხედრო, თუ იდეოლოგიური ჩარევა, რაც იწვევს წინააღმდეგობრივ მოძრაობას და ის აუცილებლად აღწევს თავის მიზანს და შედეგად იმპერიაც ლოგიკურად წყვეტს არსებობას. თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიო ისტორიას, დავინახავთ რომ დღემდე არსებულმა თითქმის ყველა იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.

არსებობს ისტორიის დაუწერელი კანონი - ერთი მოდგმის მონათესავე ხალხები, მათი ჩამოყალიბებისა და ბუნებრივი განვითარების კანონიდან გამომდინარე ქმნიან ერთ სახელმწიფოს, ერთი ენისა და ერთი რელიგიის ქვეშ. მაგრამ, თუ გადავხედავთ მსოფლიო ხალხებს, აშკარად სხვა სურათს დავინახავთ: მრავალი ერი თუ ერთი მოდგმის მონათესავე ხალხია გათიშული ერთმანეთი-საგან ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე - რა თქმა უნდა, ეს ხალხთა ბუნებრივი განვითარების შედეგი არ არის და, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ისტორიულ მოვლენებს, დავინახავთ, რომ ეს გათიშულობა გამოწვეულია გარეშე ძალის ჩარევით. ეს არის ეროვნული და იმპერიული ძალების შეჯახების შედეგი. არც თუ ისე ბევრი ერი არსებობს დედამიწის ზურგზე, რომელიც მთლიანად გადაურჩა იმპერიის დამანგრეველ ძალას. მათ შორის არც საქართველოა გამონაკლისი. მსოფლიოს მრავალი დამპყრობელი მოადგა საართველოს საზღვრებს და დიდი სისხლის ფასად მაინც მოუხერხებია ქვეყნის დაპყრობა, ქართველების აყრა და შორეულ მიწებზე გადასახლება, ძალით სარწმუნოების შეცვლა; მუდამ იდევნებოდა ქართული ენა და კულტურა... ყველა დამპყრობელს კარგად ესმოდა, რომ ერის გათიშვის გარეშე შეუძლებელია მასზე გამარჯვება. იმპერიული დაპყრობის მეთოდები და ტექნიკა იმ დონეზე დაიხვეწა და ჩამოყალიბდა საუკუნეების მანძილზე, რომ თანამედროვე მსოფლიოში ის თითქმის აღარ საჭიროებს სამხედრო ძალის გამოყენებას. ტექნიკური პროგრესის შედეგად იმდენად გაიზარდა იდეოლოგიური ძალის გამოყენების სიმძლავრე და ეფექტურობა, რომ სამხედრო ძალის გამოყენება დღეს არა ერთა და ქვეყანათა დასაპყრობად ხდება, არამედ იმპერიული ძალებისთვის მსოფლიოში გარკვეული პოლიტიკურ ეკონომიკური ვითარების შესაქმნელად, რაც კიდევ უფრო აძლიერებს იდეოლოგიური მანქანის ეფექტურ მუშაობას.

ამრიგად, უკვე თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დღევანდელ მსოფლიოში იმპერიალიზმს მიღებული აქვს გლობალური სახე და ის მსოფლიოს ყველა წერტილში მიმდინარეობს.

ჩვენ ზემოთ მოკლედ შევეხეთ ხალხთა და სახელმწიფოთა ისტორიულ განვითარების ორ ძირითად ფაქტორს. ნათელია ისიც, რომ მსოფლიოში არსებობს ხალხთა ორი საპირისპირო სახელმწიფოებრივი მოძრაობა -

ეროვნული და იმპერიული, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს შენიღბული. ასევე ნათელია ისიც, რომ არ არსებობს ხალხთა გაერთიანება და ერთ ერად ჩამოყალიბება მხოლოდ ერთი რელიგიის არსებობის შემთხვევაში, თუ ის არ არის მოდგმის, ერთი კულტურის მქონე და ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ანუ, ეროვნული სახელმწიფოს არსებობისთვის მარტო ერთი რელიგიის არსებობა საკმარისი არ არის. ერთი მოდგმის, სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი უფრო გაერთიანდება ერთ სახელმწიფოში, ვიდრე სხვადასხვა ეროვნების, მაგრამ ერთი რელიგიის მქონე ხალხები.

იმისათვის, რათა სახელმწიფომ არსებობა არ შეწყვიტოს, აუცილებელია რომ იგი ეროვნული სახელმწიფო იყოს!

ახლა კი შევეხოთ საქართველოს. საქართველო ოდითგანვე იყო მონოეთნიკური სახელმწიფო, სადაც ქართველური მოდგმის ხალხები სახლობდნენ და ადრეული საუკუნეებიდანვე ქონდათ გაერთიანების მცდელობები - იბერია, კოლხა, ეგრისი, ტაო, აფხაზეთი, ქართლი და ა.შ., რაც საბოლოოდ საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნით დასრულდა XII საუკუნეში და სადაც გაერთიანებულნი იყვნენ ქართველური მოდგმის ხალხები, სადაც ყველასათვის საერთო იყო ქართული ენა და რელიგიაც ერთი ქონდათ - ქრისტიანობა. ეს ყოველივე ლოგიკური და ბუნებრივი იყო ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში. მხოლოდ XIV-XV საუკუნეებიდან დაიწყო ქართველური მოდგმის ხალხების ძალდატანებით დაცილება ერთმა-ნეთისაგან. ძლიერმა მონღოლურმა იმპერიამ, თავისი იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე მთელს ქართული სახელმწიფოში (კავკასიაში) მოინდომა საკუთარი რელიგიის გავრცელება, რაც ნაწილობრივ შეძლო კიდეც და ჩრდილო კავკასიელი ქართველური მოდგმის ხალხები, რომელთაც უყალიბდებოდათ (და შეიძლება ჩამოყალიბებულიც ქონდათ) ერთიანი ქართული ეროვნული თვითშეგნება, ძალის გამოყენებით მოაქცია თავის სარწმუნოებაზე, რითაც იდეოლოგიური და სამხედრო დასაყრდენი გაიჩინა კავკასიაში. ხოლო რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, აქ მონღოლეთის იმპერიის შემდეგ გამოჩენილმა თურქულმა იმპერიალიზმმა გააკეთა თავისი საქმე და სამხრეთ საქართველოს ქართველობის დიდი ნაწილი ასევე ძალის გამოყენებით მოაქცია თავის სარწმუნოებაზე, განდევნა ქართული ენა და დამწერლობა, მაგრამ დანარჩენ ქართველებთან მეზობლობის შიშით დიდი ნაწილი დაპყრობილი ქართველობისა აყარა საკუთარი მიწიდან და იმპერიის მოშორებულ პროვინციოებში გადაასახლა. შემდგომ თურქულ-მონღოლური უღელისა, რომელიც სრულიად უცხო და მიუღებელი იყო ქართული და ზოგადკავკასიური ცნობიერებისათვის, ქართულ სახელმწიფოებრიობას დაემუქრა უფრო მზაკვარი და ძლევამოსილი იმპერია, რომელსაც შესანიღბად ქონდა ყველაზე ძლიერი და მაცდუნებელი იარაღი - სარწმუნოება; ეს იყო რუსეთის იმპერია. რომელმაც აამოქმედა თავისი იმპერიული ძალები საქართველოს სახელმწიფოს დასაშლელად, მაგრამ შეხვდა რა წინააღმდეგობას და ვერც ერთმორწმუნოებით შესძლო ქართული სახელმწიფოსა და საერთოდ ქართველი ერის მოაზროვნე ნაწილის მოტყუება, მაშინვე აამოქმედა სამხედრო მანქანა და შედეგმაც არ დააყოვნა - ქართული სახელმწიფო, რომელიც წინააღმდეგი იყო რუსეთის იმპერიაში შესვლისა, ჯერ მოტყუებით შეიყვანა რუსეთის იმპერიაში, შემდეგ კი, რუსეთის საბჭოთა კავშირად გარდაქმნის შემდეგ, აშკარა სამხედრო ძალის გამოყენებით შეიერთა საქართველო და მოახდინა მისი ანექსირება.

ქართველური მოდგმის ხალხები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნამდეც განიცდიდნენ უცხო ხალხის ზეწოლას, უცხო კულტურის შემოტევებს და ხშირი იყო სამხე-

დრო დაპირისპირებებიც საერთო გარეშე მტერთან, რამაც გამოიწვია ქართველური მოდგმის ხალხების გაერთიანება და ერთი სახელმწიფოს შექმნის იდეა. მაგრამ ეს გაერთიანება არ უნდა წარმოვიდგინოთ უსისხლო და მშვიდობიან გაერთიანებად. მართალია უბრალო ხალხში, ერში იყო მოთხოვნა და მზაობა ერთ ერად ჩამოყალიბებისა და ერთი სახელმწიფოს შექმნისა, მაგრამ პოლიტიკური ელიტა თავის ინტერესებს უფრო ხშირად ითვალისწინებდა, ვიდრე საერთო ეროვნულს და აქედან გამომდინარე პატრიოტულ ძალებს უხდებოდათ ძალის გამოყენება ერის გასამთლიანებლად და საერთო ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად. ამ შემთხვევაში თავს შევიკავებთ რელიგიური ფაქტორის განხილვისაგან, მხოლოდ ორიოდე სიტყვით შევეხებით მას და ავღნიშნავთ, რომ ქართველურ ტომებში ქრისტიანობამდე არსებობდა ერთი რელიგიური (წარმართული) კულტი და შესაბამისად საერთო რელიგიური ცოდნა და რიტუალები; რაც შეეხება ქრისტიანობის გავრცელებას ქართველურ ტომებში - ეს არის ერთადერთი და შეიძლება ითქვას განუმეორებელი შემთხვევა ქართველი ერის არსებობის ისტორიაში, როდესაც მან სარწუნოება მიიღო ნებით, ქადაგების გზით და ამ ყოველივეში არა ადამიანის ძალისმიერი ხელი ერია (უცხოელი დამპყრობელისა), არამედ ღვთის დიდი და იდუმალი განგება, რომელიც ისტორიულ კანონზომიერებას ცდება და ამის აღიარებას თითქმის ყველა ერიდება, განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიოში. ქრისტიანობის გავრცელება ქართველ ერში იყო დასკვნითი და ლოგიკური ეტაპი ქრისტიანობამდელი რელიგიური ცნობიერების განვითარებისა. არც ერთი სხვა მოდგმის ხალხი არ არის ისე ახლოს მენტალურად ქრისტიანულ ცნობიერებასთან მათი განვითარების ადრეულ, ქრისტეს-შობამდელ ეტაპზე, როგორც ქართველური მოდგმა.

და ბოლოს, იკვეთება სურათი, თუ როგორ ყალიბდება და ხორცს ისხამს ქართული სახელმწიფოებრიობა შუა საუკუნეებში, როდესაც უკვე საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეროვნული ცნობიერება პიკს აღწევს და დიდი შინა თუ გარე წინააღმდეგობების მიუხედავად საბოლოოდ ყალიბდება ერთ ერად და ქმნის ერთ ძლიერ ქართულ სახელმწიფოს, რომელიც მოიცავს მთელს კავკასიის რეგიონს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო გავლენის სფეროებით. მოიუხედავად ასეთი სიძლიერისა, საქართველოს სახელმწიფოს არ გადაუხვევია ქართული, ქრისტიანული ცნობიერებიდან და არ გადაქცეულია იმპერიად, არ დაუწყია ძალის გამოყენება სხვა ერებზე მათი განადგურებისა და დაპყრობის მიზნით. ყოველი სამხედრო ძალის გამოვლინება საქართველოს ძლიერების პერიოდში იყო მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის მატარებელი და გამაფრთხილებელი პოტენციური დამპყრობლის მიმართ, რომელიც არასდროს არ გადაზრდილა საქართველოს მხრიდან დაპყრობით ომებში. ეს ყოველივე ერის ფსიქოლოგიიდან გამომდინარეობს.

საქართველო კი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და შედგა ერთ სახელმწიფოდ ერთიანი ტერიტორიის, ერიანი ენის (ერის, ხალხის) და ერთი რელიგიის შედუღაბებით. ეს სამი რამ არის თანაარსი და განუყოფელი, მის გარეშე წარმოუდგენელია ქართული სახელმწიფოს არსებობა. შემთხვევით არ აქვს ნათქვამი ილია ჭავჭავაძეს, რომ სამი სიწმინდე დაგვრჩა ქართველებს მამა-პაპათაგან „მამული, ენა, სარწმუნოება“. ამათგან ერთის დაკარგვა ყველას დაკარგვასა და საქართველოსა და ქართველი ერის გაქრობას უდრის! მტერს წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ თუ არ გვექნება ერთი მამულის სიყვარული, ერთ ერად არ გავერთიანდებით და ერთ ენაზე არ ვადიდებთ უფალს!

**საქართველოს არსებობისათვის აუცილებელია, რომ საქართველო ქართული - მართლმადიდებლური სახელმწიფო იყოს!**

# საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მორიგი გაერთიანებული სხდომა!



ა/წ 13 სექტემბერს, კვირას, 13.00 საათზე, გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მორიგი გაერთიანებული სხდომა! სხდომა გახსნა ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ კიკნაძემ. სხდომაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრმა - ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა და საქართველოში სპეციალურად ჩამობრძანებულმა, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის პირველმა ვიცე პრემიერმა - ბატონმა იოსებ ღუდუშაურმა.

სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგის ყველა საკითხი: 1. საინფორმაციო საკითხები; 2. საორგანიზაციო საკითხები; 3. ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხები; 4. პოლიტიკური საკითხები; 5. სხვადასხვა საკითხები.

სხდომაზე სიტყვით გამოსულმა ბატონმა იოსებ ღუდუშაურმა ვრცლად მიმოიხილა ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხები და სულიერი პრინციპები. მთავრობის თავმჯდომარემ ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ქართველი ერის დღევანდელ სულიერ და ზნეობრივ დეგრადაციასა და მდგომარეობაზე. მან, ამ ნიშნით მოიყვანა დღევანდელი ევროპის მაგალითი, გააკეთა ფართო ანალიზი ამ მიმართულებით შექმნილ მდგო-მარეობაზე, როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში და განსაზღვრა, რომ სწორედ ესაა დილემა კაცობრიობის წინაშე, რაზეც, თავის დროზე ამახვილებდა ყურადღებას ბატონი ზვიად გამსახურდია. ითქვა, თუ რაოდენ აქტუალურია დღეს სულიერი და ზნეობრივი უფლებების დაცვა. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა პროფესორი, ქალბატონი დენიზა სუმბაძე, რომელმაც გამოთქვა სურვილი გამართულიყო ცალკეული მსჯელობა-დისკუსიები საქართველოში ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის სიძნე-ლეების დაძლევის გზების შესახებ, რომელსაც, მისი აზრით, სჭირდება ცოცხალი დიალოგი და პოზიციათა ურთიერთგაცვლა. სხდომაზე სიტყვით

გამოვიდა ასევე ბატონი ვახტანგ ყაველაშვილი, რომელმაც ისაუბრა საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წევრებზე, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი სულის დღევანდელ, აქტიურ მატარებლებზე და მათ გმირობებზე და აღნიშნა საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრ - ბატონმა ბესარიონ გუგუშვილის განსაკუთრებულ წვლილზე და მოღვაწეობაზე ამ საშვილიშვილო საქმეში. სხდომაზე, ასევე, ვრცელი სიტყვით გამოვიდა ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისა" და უზენაესი საბჭოს წევრი, ცნობილი მწერალი ბატონი გურამ პეტრიაშვილი. ,,ჩემი გმირები არ კვდებიან!" - განაცხადა ბატონმა გურამმა თავისი სიტყვის ბოლოს - ,,და არც ბატონი ზვიადის საქმეები და იდეებია მკვდარი და ისინი მარად ჟამს იცოცხლებენ!" სხდომაზე იმსჯელეს დღევანდელი მოღვაწეობის პრობლემების დაძლევის გზებზე,. სხდომაზე, ასევე, განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მიმდინარე წლის გეგმიური საქმიანობები, საუბარი იყო სამომავლო გეგმებზეც და ამასთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა შესაბამისი საორგანიზაციო და პოლიტიკური დადგენილებები, რაც აისახება კიდეც სხდომის დასკვნით რეზოლუციაში. ამით სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**P. S.** როგორც სხდომის შემდგომ გაირკვა, სხდომის მსვლელობის პერიოდში, ოფისთან, ეზოში, გზიდან მოშორებით მდგარ, ქალბატონ დენიზა სუმბაძის კუთვნილ ავტომანქანასთან, რომელშიც იჯდა ქალბატონ დენიზას ვაჟი და ელოდებოდა დედას, მივიდნენ პოლოციის მუშაკები, საკმაო რაოდენობით და ჩაატარეს როგორც მანქანის, ასევე ქალბატონ დენიზა სუმბაძის ვაჟის სრული ჩხრეკა, რომელიც, თურმე კარგა ხანს გრძელდებოდა და არ იქნა ახსნილი, თუ რისთვის ატარებდნენ ამ სპეციალურ აქტს. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ . . . არავინ იცის, თუ რისთვის და რა მიზნით მოხდა ყოველივე და განმეორდება თუ არა იგი კვლავ მომავალში. ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" გამოხატავს ღრმა შეშფოთებას მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით და მოუწოდებს ფაქტობრივ ხელისუფლებას გონიერი ქმედებებისაკენ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისაკენ.



# მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ქალაქ თბილისში, გლდანში, ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში





ა/წ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ქალაქ თბილისში, გლდანში, ლომისის წმინდა გიორგის სახელობის, პატარა, მაგრამ დიდებულ ტაძარში ჩატარდა მარიამობის დღისადმი მიძღვნილი წირვა-ლოცვა, რომელსაც ესწრებოდნენ, სპეციალურად მიწვეული, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წევრი საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო წარმომადგენლობა! წირვა-ლოცვებში, მოხსენიებულ იქნა საქართველოს ეროვნული გმირები - ბატონები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ასევე, ყველასდა გასახარად, მოხდა დღემდე უნიკალური რამ, საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის მოხსენიება საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარის, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის - ბატონ ბესარიონ გუგუშვილის თავმჯდომარეობით. ლოცვებში მოხსენიებულ იქნა, ასევე, საქართველოს რესპუბლიკის პირველი ვიცე პრემიერი - ბატონი იოსებ ღუდუშაური და მთელი სამთავრობო შემადგენლობის სიითი წარმომადგენლობა! წირვა-ლოცვისა და არაჩვეულებრივი გალობის დამთავრების შემდგომ გაიმართა მცირე ტრაპეზი, რა დროსაც შედგა წირვა-ლოცვის ყველა მონაწილეთა შეხვედრა-საუბარი ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის" - საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო წარმომადგენლობასთან, მიმოიხილეს დღევანდელი არსებული მდგომარეობა და ბოლოს ყველამ (წირვა-ლოცვის თაოსნებმა, შემსრულებლებმა და მრევლმა) გამოთქვა სურვილი ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებაში" გაწევრიანებისა, თანამშრომლობისა და ერთობლივი მოღვაწეობა-ბრძოლის მზაობის თაობაზე. დიდება უფალს!







საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 80 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოში სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უბადლო ქალბატონს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრსა და გამორჩეულ პიროვნებას, ჩვენს უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს - ქალბატონ კლარა ტონიას!
ქალბატონ კლარასა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას!
უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს ულოცავს საქართველოში სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უბადლო და უბერებელ ჯარისკაცს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" საკონტროლო-სარევიზიო კომისიისა და კავსირის უხუცესთა საბჭოს გამორჩეულ წევრს, ჩვენს უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს - ბატონ თამაზ დარახველიძეს!
ბატონ თამაზსა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას!
უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 65 წლის იუბილეს ულოცავს კავშირის გამორჩეულ წევრს, ჩვენს მეგობარსა და თანამოაზრეს ბატონ ვაჟა მერაბიშვილს! ბატონ ვაჟასა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას!
უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 65 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ერთ-ერთ უბადლო ჯარისკაცს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარეს, ჩვენს უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს - ბატონ ნოდარ კიკნაძეს! ბატონ ნოდარსა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, ულევ სიხარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 65 წლის იუბილეს ულოცავს კავშირის პრეზიდიუმის წევრს, ჩვენს მეგობარსა და თანამოაზრეს - ბატონ მირიან მაღრაძეს! ბატონ მირიანსა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 65 წლის იუბილეს ულოცავს კავშირის გამორჩეულ წევრს, ჩვენს მეგობარსა და თანამოაზრეს - ბატონ გივი საგინაშვილს! ბატონ გივისა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 65 წლის იუბილეს ულოცავს კავშირის გამორჩეულ წევრს, ჩვენს მეგობარსა და თანამოაზრეს - ბატონ ვახტანგ ყაველაშვილს! ბატონ ვახტანგისა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს ულოცავს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ უბადლო ჯარისკაცს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთგულ თანამებრძოლს, ასევე ჩვენს მეგობარსა და თანამოაზრეს - ბატონ რობიზონ მუშნის ძე მარგველანს!

ბატონ რობიზონსა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 55 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთგულ თანამებრძოლს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ამჟამად, საქართველოში სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უბადლო ჯარისკაცს, ჩვენს მეგობარსა და თანამოაზრეს, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის წევრს სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო საკითხებში, კავშირის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურის - ,,სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის" თავმჯდომარეს, საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს - ბატონ თამაზ ხუციშვილს!

ბატონ თამაზსა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 55 წლის იუბილეს ულოცავს ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" უძველეს წევრს, გამორჩეულ პიროვნებას, ჩვენს უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს - ბატონ თემურ დანელიას! ბატონ თემურსა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 50 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოში სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უბადლო ჯარისკაცს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წევრს ჩვენს უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს - ბატონ თენგიზ ბადაშვილს!

ბატონ თენგიზსა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 40 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოში სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უბადლო და უმშვენიერეს ქალბატონს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ,,დარბაზის" თავმჯდომარის მოადგილეს, ჩვენს უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს - მარი ხუციშვილს!

მარისა და მთელს მის გულით საყვარელ ახლობლებსა და მეგობრებს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" დაბადებისდღეს - 45 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთგულ თანამებრძოლს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ამჟამად, საქართველოში სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უბადლო ჯარისკაცს, ჩვენს მეგობარსა და თანამოაზრეს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ქართლის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელს - ბატონ პაატა შიუკაშვილს!

ბატონ პაატასა და მთელს მის ლამაზ ოჯახს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უსაზღვრო ბედნიერებას!

უფალი იყოს თქვენი მფარველი მუდამ!

# თამაზ კალაძე 70 წლისაა



თამაზ დავითის ძე კალაძე დაიბადა 1945 წლის 25 მაისს ქ. თბილისში. 1952 წელს შევიდა თბილისის ვაჟთა მე-19 (ამჟამად 30-ე) საშუალო სკოლაში, ხოლო მე-9, 10 კლასი ისწავლა 61-ე საშუალო სკოლაში, რომელიც ვერცხლის მედალზე დაამთავრა 1962 წელს. იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. მაშინ ფიზიკის ფაკულტეტი ერთერთი გამორჩეული და ძლიერი ფაკულტეტი გახლდათ. მას ასწავლიდნენ და ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი ლექტორები და თვალსაჩინო მეცნიერები: ვლადიმერ ჭელიძე, ალეკო იშხნელი, ვაგან მამასახლისოვი, გივი ხუციშვილი, გურამ ჭილაშვილი, მათე მირიანაშვილი. სადიპლომო ნაშრომი შეასრულა ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელ ნიკა გიორგაძის ხელმძღვანელობით, რომელიც ეხებოდა სუსტად არაწრფივ გარემოში მოძრავი დამუხტული ნაწილაკით გამოწვეულ არაწრფივ მოვლენების პრობლემას. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ პირველი დამოუკიდებლი მუშაობის დროს წარმოებული გამოთვლების დროს სწავლობს სტუდენტი თუ როგორ გამოიყენოს ლექციების დროს მოსმენილი მასალა. 1967 წელს დაამთავრა აღნიშნული უნიერსიტეტის სრული კურსი სპეციალობით ფიზიკა და სახელმწიფო საგამოც-დო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა ფიზიკოსის, თეორიული ფიზიკის სპეციალიზაცია. იმავე წელს დაიწყო მუშაობა აკად. ი. ვეკუას მიერ ახლად დაარსებულ თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში საინჟინრო და ფიზიკური ამოცანების განყოფილებაში, რომელსაც მისთვის დიდად პატივსაცემი ებრაელი მეცნიერი ა. ხვოლესი ხელმძღვანელობდა. ი. ვეკუას ინიციატივით ინსტიტუტი აღიჭურვა იმდროისათვის მძლავრი ელექტრონული გამომთვლელი მანქანით ბესმ-4-ით. თამაზ კალაძე გახლდათ პირველი საქართველოში, რომელმაც დაიწყო ფიზიკური ამოცანების რიცხვითი გათვლების რეალიზაცია ელექტრონულ გამომთვლელ მაქანებზე. 1974 წელს აკად. ჯ. ლომინაძისა და უკრაინის ქ. ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლის კ. სტეპანოვის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პლაზმის ფიზიკის თეორიულ საკითხებში. ამ პერიოდში ინტენსიურად თანამშრომლობდა ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელ პროფ. კ. სტეპანოვთან და მოსკოვის კურჩატოვის სახ. ატომური ენერგიის ისეთ ცნობილ სპეციალისტებთან, როგორიცაა ა. მიხაილოვსკი და ვ. ფეტვიაშვილი. 1990 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პლაზმის თეორიულ საკითხებში. ორივე დისერტაცია დამტკიცებულ იქნა სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ ქ. მოსკოვში. განათლების მინისტრ კ. ლომაიასა და პრეზიდენტ მ. სააკაშვილის მიერ 2006 წელს უგუნურად ჩატარებული საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად აკადემიკოს ი. ვეკუას დაარსებული გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, როგორც სამეცნიერო ერთეული უნივერსიტეტში გაუქმდა. მეცნიერების ერთგული თამაზ კალაძე იძულებული გახდა საზღვარგარეთ გადავხვეწილიყო. 2007 წლიდან 2014 წლამდე მუშაობდა პაკისტანის ქ. ლაჰორის სახელმწიფო კოლეჯ-უნივერსიტეტში პაკისტანის უმაღლესი საგანმანათლებლო კომისიის უცხოელი სპეციალისტების დაქირავების პროგრამის ფარგლებში. მას ეკავა უცხოელი პროფესორის თანამდებობა და ფიზიკა-მათემატიკაში ლექციების კურსთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო მუშაობასაც. თამაზ კალაძე გახლავთ პაკისტა-

ნელი სტუდენტების ორი სადიპლომო ნაშრომისა **(M.Phil)** და ორი სადოქტორო დისერტაციის ( **h** ) ხელმძღვანელი. 2011, 2012 და 2013 წლებში მაღალი სამეცნიერო აქტიობისათვის მიღებული აქვს პაკისტანის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საბჭოს ჯილდოები.

თამაზ კალაძე ეროვნულ მოძრაობაში ჩართულია 1978 წლიდან. 1989 წლის ბოლოს იგი გახდა ჰელსინკის კავშირის წევრი, რომელსაც ეროვნული გმირი ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. ჰელსინკის კავშირში იგი ხელმძღვანელობდა განათლებისა და მეცნიერების სექტორს. ამ სექტორის აქტიობის შედეგად გაუქმდა ოქროსა და ვერცხლის მედლები საშუალო სკოლის დამთავრებისას, შემუშავებული იქნა ბაკალავრისა და მაგისტრის საფეხურები უმაღლეს სასწავლებლებში, მოხდა სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესების რეორგანიზაცია. თამაზ კალაძეს აქვს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის გამოცდილებაც: 1991 წელს ჩატარებული ადგილობრივი საკრებულოების არჩევნების დროს თბილისის მოსახლეობამ თამაზ კალაძე დამაჯერებელი უპირატესობით აირჩია საბურთალოს რაიონის საკრებულოს დეპუტატად, შემდგომ ამავე რაიონის გამგებლად და ბოლოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ დაინიშნა საბურთალოს რაიონის პრეფექტის თანამდებობაზე. სწორედ თამაზ კალაძე გახლდათ გაზეთ "იბერია სპექტრში" უნივერსიტეტის 103 თანამშრომლის სახელით გამოქვეყნებული ედ. შევარდნაძის უგუნური პოლიტიკის მამხილებელი საპროტესტო ცნობილი წერილის ინიციატორი, სადაც გაპროტესტებული იქნა 1992 წელს აფხაზეთში საომარი ჯარების შესვლა. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 103 თანამშრომლის მიმართვისადმი მხარდაჭერამ საქართველოში საყოველთაო ხასიათი მიიღო, რამაც ფაქტობრივი ხელისუფლება დიდ საგონებელში ჩააგდო ჩააგდო და ამ მიმართვაზე ასეულ ათასობით მხარდამჭერთა ხელმოწერების შეჩერება შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლებამ მხოლოდ იმით მოახერხა, რომ გაზეთი "იბერია-სპექტრის" გამოცემა, სადაც ეს ხელმოწერები ქვეყნდებოდა, კარგა ხნით აიკრძალა. დაიწყო ხელის მომწერთა საყოველთაო დევნა და რეპრესიები, რასაც ჯაბა იოსელიანის მხედრიონის ბანდები ახორციელებდნენ, ხოლო თამაზ კალაძე ორჯერ დაიჭირეს, სასტიკად აწამეს და 40 დღის განმავლობაში გამოამწყვდიეს ორბელიანის მოედანზე მდებარე სამხედრო კომენდატურის ცივ და ბნელ საკანში.

თამაზ კალაძე გახლავთ მაღალრეიტინგულ საზღვარგარეთის ჟურნალებში 225 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი სამეცნიერო -ინდექსი შეადგენს 12-ს. თამაზ კალაძეს მიღებული აქვს უცხოეთის და ადგილობრივი გრანტები (მათ შორის, 1998-99 წლებში, ფონდ "ქართუს" გრანტი). 2000, 2005-07 წლებში ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით მუშაობდა ქ. ნანჯინგის სამეცნიერო ობსერვატორიაში მიწვეული პროფესორის თანამდებობაზე. თამაზ კალაძეს აქვს უცხოელ მეცნიერებთან თანამშრომლობის მაღალი გამოცდილება. მისი თანაავტორები არიან ისეთი თვალსაჩინო მეცნიერები, როგორიცაა ა. მიხაილოვსკი და ვ. ფეტვიაშვილი (მოსკოვის ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტი), რ. საგდეევი (მერილენდის უნივერსიტეტი, აშშ), კ. სტეპანოვი (ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი), ვ. ჰორტონი და ჯ. ვან დამი (ქ. ოსტინის ტეხასის უნივერსიტეტი, აშშ), ლ. სტენფლო (უმეას და ლინკოპინგის უნივერსიტეტები, შვეცია), პ. შუკლა (რურის უნივერსიტეტი, ქ. ბოხუმი, გერმანია), დ.ჯ. ვუ (ნანჯინგის ობსერვატორია, ჩინეთი). თამაზ კალაძე მუდმივად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. 2002 წელს სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისათვის მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. ვეკუას პრემია, რომლითაც ძალიან ამაყობს. თამაზ კალაძე გახლდით პირველი ფიზიკოსი, რომელმაც მათემატიკოს ი. ვეკუას ეს პრემია მიიღო. 2012 წელს მას შეთავაზეს მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო სამეცნიერო გუნდში ატმოსფეროსა და იონოსფეროში მიმდინარე არაწრფივი ტალღური მოვლენების შესწავლის მიზნით. აღნიშნული სამეცნიერო გუნდი შედგებოდა აშშ, ინგლისის, რუსეთის, ისრაელის, კანადის, გერმანიის, პორტუგალიისა და საქრთველოს 11 გამოჩენილი ფიზიკოსისაგან. ეს ორწლიანი პროექტი დაფინანსდა ქ. ბერნის (შვეიცარია) კოსმოსური კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ.

თამაზ კალაძის სამეცნიერო ინტერესების სფეროა პლაზმის ფიზიკა, დედამიწის იონოსფერო, მიწისძვრების ფიზიკა. სამეცნიერო წარმატებებიდან უნდა აღინიშნოს 1) თერმობირთვულ დანადგარ ტოკამაკებში რეაქციის შედეგად გაჩენილი მაღალენერგიული ალფა ნაწილაკების მიერ გამოწვეული თერობირთვული არამდგრადობების თეორიის შექმნა, 2) თერმობირთვულ დანადგარ ტოკამაკში მრუდწირული მაგნიტური ველის პირობებში ტალღების გავრცელების თეორიის შექმნა, 3) დედამიწის იონოსფეროში გავრცელებადი ტალღების მიერ წარმოქმნილი არაწრფივი სტრუქტურების (სოლიტონები, გრიგალები,

ზონალური ქარები) თეორიის შექმნა.

თამაზ კალაძე ამჟამად მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობზე. რითი გამოირჩეოდა თამაზ კალაძის მოქალაქეობრივი და სამეცნიერო აქტიობა? სტუდენტური წლებიდანვე იგი ყოველთვის გახლდათ ეროვნული ინტერესების მატარებელი. განსაკუთრებით 1978 წელს, მაშინ როდესაც მის მშობლიურ ქართულს მოსკოვიდან საფრთხე დაემუქრა მან აქტიური მინაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის საპროტესტო მოძრაობაში და საშუალება არ მისცა სულგაყიდულ ადმინისტრატორებს, პარტიულ მუშაკებს და პროფესორებს ხელი მოეთბოთ შექმნილ ვითარებაში. მისი თაოსნობით თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტების თანამშრომლებმა 1978 წლიდან აქტიური მონაწილება დაიწყეს საქართველოს კულტურის ძეგლების რესტავრაცია-აღდგენაში. აქ უნდა აღინიშნოს მათი განსაკუთრებული წვლილი სიონის საკათედრო ტაძრის გარე სამუშაოების შესრულებაში, დარეჯანისა და ფეთხაინის ეკლესიების აღდგენაში, თუშეთში საცხოვრებელი სახლებისა და სალოცავის აღდგენაში. მისი თაოსნობით ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან ერთად საკუთარი შემოწირულობით აღადგინეს საშეფო ძეგლი კუმისში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალქალაქის რაიონში სტიქიით დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი აჭარელებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში ინსტიტუტის თანამშრომლების თავდაუზოგავი მუშაობა. ინსტიტუტის თანამშრომლები მუდმივად ეხმარებოდნენ კახის რაიონში მცხოვრებ ქართველებს სასწავლო წიგნებით და სხვა საჭირო თანადგომით. კულტურის ძეგლების აღდგენაში განსაკუთრებული საზოგადოებრივი წვლილისათვის ინსტიტუტის თანამშრომლებს მიღებული აქვთ მადლობის სიგელები საქართველოს ძეგლთა დაცვის თავმჯდომარე ი. ციციშვილიგან. საბურთალოს რაიონის პრეფექტობის პერიოდში თამაზ კალაძემ საირმის მთაზე აღადგინა გერმანელთა ტყვეების საფლავები და მისი უწმინდესობის ილია II-ს მადლობის სიგელი დაიმსახურა.

უნივერსიტეტში თამაზ კალაძის 48-წლიანი სამეცნიერო მუშაობით და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით მან ფართოდ გაუთქვა სახელი მშობლიურ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სამეცნიერო აქტიობას მსოფლიო სამეცნიერო წრეებში. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარებისა და სახელმწიფო აპარატში არსებული კორუფციის გამო მეცნიერთა მდგომარეობა თავისი მწირი ხელფასებით სავალალო მდგომარეობაში რჩება.

2015 წლის 10 აგვისტო

# ,, ... მაგრამ ვინაა აქ გამკითხველი“



მესხეთში, ადიგენის რაიონის სოფელ უდის სამხრეთით, დაახლოებით 3 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, სავარაუდოდ, ადრეული საუკუნეების დროინდელი, ე.წ. ,,პატარა ბუზმარეთის“ ეკლესიის,, ნაშთი, რომლის დასავლეთ ნაწილში, საკურთხევლის გარე ფასადზე შემორჩენილია პერანგის ქვა, უნიკალური ბარელიეფით, რომელზეც გამოსახულია კაბიანი კაცი, ხელში სამუშაო იარაღით, გონიოთი.

ამ დროისთვის მამაკაცის გამოსახულება დაზიანებულია: აღარ აქვს თავი, რაც, მოსახლეობის თქმით, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ არსებობდა. თავად ეკლესიაც მაშინ უკეთეს მდგომარეობაში იყო.

აუცილებელია, სასწრაფოდ შესწავლილი იქნას ეს მნიშვნელოვანი ძეგლი და ჩატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, თუნდაც ბარელიეფის გადასარჩენად.

რაოდენ გულსატკენია, რომ იმავ სოფელში მდებარეობს დედათა მონასტერი, სადაც მდიდრულად მოწყობილ რეზიდენციაში განცხრომით სუფევს ადგილობრივი მღვდელი.

სამწუხაროდ, ეს არ არის ერთეული მოვლენა: მთელ საქართველოში მაღალი რანგის სამღვდელო პირთა უმეტესობა, მათ ხელთ მოხვედრილ სახსრებს უპირველეს ყოვლისა „საკუთარი„ ეკლესიების აშენებას, დიდებული რეზიდენციების გამართვას ახმარენ. გაამპარტავნებულნი და მედიდურნი ღრუბლებსზემოდან დაცქერიან მორჩილ მრევლს.

... და გასცქერიან უძველესი ნატაძრალები თანამედროვე, გრანდიოზულ ეკლესია-მონასტრებს და მოთმინებით ელიან ისეთი დროის დადგომას, როცა ჩვენს ქვეყანაში ისევ იმძლავრებს ეროვნული სულისკვეთება! როდესაც ერსაც და ბერსაც სათავეში არა ყალბი, არამედ ჭეშმარიტი მამულიშვილები ჩაუდგებიან!

ნოდარ კიკნაძე

## მესხეთის მონატრება

მტერს შელეწილი ის, ჩვენი კუთხე,
ღვთისმშობლის ღაწვს რომ ცრემლად ადნება,
დღესაც სამშობლოს ღამეებს უთევს,
დღესაც სისხლს გასცემს დაუმადლებლად.

ჩვენ, დაკარგული მისი ვაჟები
თავჩაქინდრული ჩავცქერით ჭიქებს,
გადავირევით, გავგიჟმაჟდებით:
რამე, მესხური შემოგვრჩა იქნებ?

იმ შავლეგოსი, თუ არა ხმალი,
სიმღერა მაინც ვიცოდეთ ნეტავ,
ხომ არ გამქრალა იმედი ხვალის,
გული, გამხმარი, ხომ ისევ ფეთქავს!

მუხლისმოდრეკით და პირჯვრისწერით
პატიებას ვთხოვ სევდიან ტაძარს,
დამისხით ღვინო: სისხლი და ცრემლი,
ეს ბნელი ღამე კბილებში გავცრა!

**P.S.** ზემოთ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენმა ორგანიზაციამ რამდენიმე ინსტანციას მიმართა („კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს“, მთავრობისა და პარლამენტის თავჯდომარეებს, საპატრიარქოს... ). ყველა მათგანი ამათუიმ სახით გამოგვეხმაურა, ყველა, გარდა ერთისა - საპატრიარქოსი?!

* * *



ეს მუსლიმანური ხმალია, სიმბოლო ბრძოლისკენ მოწოდებისა. ზოგგან ხმალს ზემოდან არაბულენოვანი წარწერაცა აქვს:

,,ალლაჰ აკბარ,,. არის, თუ არა ეს აშკარა მუქარა? ვალდებულნი არიან, თუ არა სათანადო ორგანოები არათუ აღკვეთონ მსგავსი ქმედებანი, არამედ ძირეულად გამიკვლიონ, თუ სად არის ფესვები ამ ავანტურისა? რატომ და როგორ ხდება, რომ საქართველოში, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, ყოველთვის, ყველა წყობილების, თუ მთავრობის დროს, ქართველი კაცი ნებისმიერ არაქართველზე მეტად დაჩაგრული იყო (გამონაკლისს წარმოადგენდა ის საოცარი ერთი წელი, როდესაც ქვეყანა ეროვნულ მთავრობას ებარა). რატომ ცდილობენ იმ აზრის დამკვიდრებას, რომ ჩვენ პატარა, სუსტი ერი ვართ და ამიტომ ამიტომ დიდს, თუ პატარას,

ყველას კოჭი უნდა ვუგოროთ. გადავხედოთ წარსულს: არაბნი, ბიზანტიელნი, მონღოლნი, სპარსნი,თურქ-სელჯუკნი და ბოლოს - რუსები! განა ყოველი მათგანი მრავალგზის არ აღემატებოდა ქართველებს როგორც ტერიტორიულად, ასევე რიცხობრივად და სამხედრო ძალით? და ამიტომ როგორ იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები? რაო? „პროვოკაციებს არ უნდა ავყვეთო!“ - ასე იძახდნენ? თუ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ?! იმიტომ, რომ „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!“, იმიტომ, რომ ღირსება მთავარი მშვენებაა როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მთელი ერისა!

ლევან გოთუას ცხოვრება მახსენდება: მოგეხსენებათ, უმკაცრესი რეჟიმის ციხეებსა, თუ კოლონიებში გაატარებინეს ლამის მეოთხედი საუკუნე, სამშობლო სიყვარულით გულანთებულ ვაჟკაცს. აქ მას საქმე ჰქონდა არაადამიანაური, გადაგვარებული ფსიქიკის და ზნის არა მხოლოდ კრიმინალებთან, არამედ ადმინისტრაციასთანაც. როგორ ხდებოდა, რომ ერთნიც და მეორენიც მის მიმართ მოწიწებით, პატივისცემით იყვნენ განმჭვალულნი?! იმიტომ, რომ ბატონ ლევანს არასდროს, არსად არ დაუკარგავს გრძნობა ღირსებისა! - ერთ კაცს, მის წინააღდეგ ამხედრებული მთელი სამყაროს წინაშე! ასეთებს კი ყველა, მისდაუნებურად, რიდით ეპყრობა. ასეთები იყვნენ მერაბ კოსტავა, მამა გაბრიელი... ამგვარი მაგალითი ჩვენს ისტორიაში უამრავია! ამისკენ უნდა მოუწოდებდეს მრევლს ჩვენი ეკლესია და არა გვაბრუებდეს ყოვლად უსაფუძვლო დაპირებით, რომ „მალე დაგვიბრუნება აფხაზეთი და სამაჩაბლო“, რომ „საქართველო გამთლიანდება“. ჩვენგვჭირდება არა ტერიტორიული, არამედ სულიერი გარეთიანება! საიდუმლო როდია, რომ საეკლესიო პირთა უმეტესობის მხრივ მრევლში მიმდინარეობს გააფთრებული აგიტაცია რუსული ორიენტაციისა, სტალინის ლამის წმინდანად გამოცხადებისა. და დგას ჩვენი ერის არცთუ მცირე ნაწილი მრავალგზის მოტყუებული, დამცირებული, გულგატეხილი, ხელებჩამოშვებული კვლავაც ზეციდან მოვლენილი სასწაულების მოლოდინში.

ღირსების შეგრძნება დაკარგა ერმა, მუდმივად დამარცხებულმა, მუდმივად სხვისი ხელების შემყურემ.

რატომ ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ორი არჩევანი აქვს: ან „ევროპულ-ამერიკული“, ან „რუსული“? სამწუხარო ფაქტია: ხუთი წელი, 1988-დან 1993 წლამდე საქართველო იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის. მას შემდეგ, ლამის მეოთხედი საუკუნეა, ქვეყანა იბრძვის ,,დამოკიდებულებისთვის“. ჩვენ რომ ღირსეულად წარმოვაჩენდეთ თავს, ასე აგდებულად, როგორც ჩასვრილ, ჭირვეულ ბავშვს, არ მოგვექცეოდა დიდი, თუ პატარა მეზობელი, ან თუნდაც ევროპელ-ამერიკელი ჭკუის დამრიგებელი „მეგობრები“. შესანიშნავად ბრძანა ქალბატონმა დენიზა სუმბაძემ: ,,ზვიად გამსახურდიას გაძევებით საქარ-თველოდან გაძევებული იქნა ეროვნული მოძრაობა,, ეს არის ქვეყნის დიდი პრობლემა. რა იქნა ქართული გზა? გზა ეროვნული აღორძინებისა?! ერის უმთავრესი ფუნქცია არის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის! უამისოდ ერი გადაიქცევა ბრბოდ! ეს არ არის ერთჯერადი აქცია, ეს მუდმივი პროცესია. ამის გარეშე არასდროს დადგება დავითის, თუ თამარის „ოქროს ხანა“.

ნოდარ კიკნაძე 2015 წ. ნოემბერი

# მეტი, ვიდრე გვაქვს

**რატი გაგოშიძე** - ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი -ეროვნული აღორძინების" ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე



გავიხედოთ მარჯვნივ და მარცხნივ. დავინახავთ, რომ ჩვენ გაგვაჩნია სიმდიდრე: უძრავი, თუ მოძრავი საკუთრება. ჩვენ გვაქვს სამსახურები, ვართ დასაქმებულნი, ჩვენ ვცხოვრობთ, ვლოცულობთ, გვიყვარს და გვჯერა, რომ ხვალინდელი დღე იქნება უკეთესი.

როგორც ავღნიშნე, ჩვენ გვაქვს ესა თუ ის სიმდიდრე. მეც მაქვს ქონება და თუ ვინმე მკითხავს: - ვისია ეს სახლი? მე ვეტყვი: მეგობარო, ეს ჩემია! თუ მკითხავენ: - ეს ვისი ოჯახია? მე ვიტყვი: ეს ჩემი ოჯახია! და ამით ყველაფერი გასაგები იქნება. მაგრამ თუკი მე დავტოვებ ჩემს სახლს, ჩემს ოჯახს, გავალ გარეთ და დავინახავ როგორ არის დაბეჩავებული ჩემი მიწა-წყალი, მე მასზე არ ვიდარდებ, რადგან ის ჩემი არ არის. რადგან ვიცი, რომ ჩემი ის სახლია, რომელიც ახლახანს დავტოვე. მე არ ვიდარდებ გაუბედურებულ ოჯახებზე, რადგან ჩემი ოჯახი ისაა, რომელიც სახლში მელოდება. მე არ ვიდარდებ სხვებზე, რადგან მეშინია, რომ ვიბრძოლო მათი კეთილდღეობისთვის, რადგან ვიცი, რომ ამის გამო შეიძლება დავკარგო ჩემი სამსახური, ჩემი სახლი და ოჯახი. სწორედ ამიტომ მე გულგრილად ჩაუვლი მათ და როგორც ლერწამი ქარიშხლის დროს მის ქროლვას გავყვები და გავყვები მანამ, სანამ ქარიშხალი არ ჩადგება.

მაგრამ განა მინდა, ვიყო ლერწამი გადახრილი და თავდაღუნული?! მე მინდა ვიყო მუხა! მედგრად დავუხვდე ქარიშხალს, თავდაუზოგავად ვებრძოლო მას და თუ მძლია, თუნდაც ძირფესვიანად ამოვიგლიჯო მიწიდან, მაგრამ არა, ლერწამის ხვედრი უფრო მარტივია. ამიტომაც თავდახრილი, გადახრილი ვეგებები მომავლის რისხვას.

დღეს მე დავხრი თავს, ხვალ შენ და მომავალში აღარ იქნება ,,ჩვენ". აღარ იქნება ერთობა - ყველა თავის სახლში და ოჯახში ჩაკეტილი, იფიქრებს თავის თავზე, უზრუნველ მომავალზე და მანამ სანამ ,,მომავლის რისხვა" კარზე არ მოგვიკაკუნებს, ხმალს არ ავღმართავთ. სამწუხაროდ, მერე გვიანი იქნება! ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით რაც გაგვაჩნია, რადგან ვერ ვუყურებთ მომავალს ისე, როგორც უნდა ვუყურებდეთ. ჩვენ ხვალინდელი დღე უბრალო, მორიგი დღე გვგონია. საუბედუროდ ვივიწყებთ იმას, რომ დრო ძალიან ცოტაა დარჩენილი. დრო ცოტა დაგვრჩა არა იმიტომ, რომ დავბერდებით და დავჭკნებით, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ დაბერდება და აღარ იქნება ერი. ეს ყველამ კარგად ვიცით.

ჰოდა, მოდით, ერის მომავლისთვის ვიბრძოლოთ! ვიბრძოლოთ იმისთვის, რაც საუკუნეებს გაუძლებს! ჩვენ სისხლს, ოფლსა და ფულს ვხარჯავთ შენობების შენებაში, მაგრამ არ ვხარჯდებით ეროვნული აღმშენებლობისთვის. შენობებს მიწისძვრები დაანგრევს, მტრის მიერ ნასროლი იარაღი მტვრად აქცევს, ხოლო ძლიერ ერს ვერც ბუნებრივი კატაკლიზმები და ვერც ზარბაზანი ვერ გატეხს. სწორედ ამიტომ, უნდა გავითავისოთ, რომ მხოლოდ „მე" არ არის

გამართლებული. რომ „ძალა ერთობაშია“ და ეს ლიტონი სიტყვები არაა! მე მიყვარს ჩემი მიწა-წყალი. მე აქ დავიბადე. მე მინდა, რომ ვიყო მუხა! დიახ ლერწამი მოგმართავთ, რომ მას მუხობა სურს, რადგან ამ ლერწამს სჯერა, რომ ,,მდოგვის მარცვალ რწმენას მთების შეძვრა შეუძლია" და ასევე ლერწმის მუხად გადაქცევა. ახლა გულახდილად ვთქვათ: რამდენს გვსურს გულით და სულით ლერწმიდან მუხად გცევა.

მე მაქვს სახლი, მყავს ოჯახი, მაგრამ მე მინდა მეტი, ვიდრე მაქვს. ეს ჩემი უფლებაა და მე ამ უფლებისთვის ვიბრძოლებ, სანამ ძარღვებში სისხლი სჩქეფს.

მე ვარ რატი გაგოშიძე. ვცხოვრობ მიწაზე რომელსაც ჩრდილოეთიდან რუსეთი, აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი, დასავლეთიდან შავი ზღვა, ხოლო სამხრეთიდან სომხეთი და თურქეთი შემოხვევია. ჩემი სამშობლოს მიწა მრავალი გმირის სისხლით არის გაჟღენთილი. იგი ბევრი მოღალატის აძაღლებულ ლეშსაც ინახავს. აქ იქმნებოდა და ნადგურდებოდა, ინახებოდა და იკარგებოდა. ეს მიწა იყო და არის თავისი შვილების დედა. ეს ჩვენი სახლია. სახლი სადაც გასვლისას კარი ზრდილობიანად უნდა მოვხუროთ. შესვლისას ლოცვა ვთქვათ. გავუფრთხილდეთ. სისუფთავე და სიწმინდე არავის წაბილწინოთ, არავის. რადგან ჩვენს გარდა მისი სიწმინდე არავის ადარდებს, რადგან ეს ჩვენი ვალდებულებაა!

## იბერიელი

მე წარსულმა დამიტოვა სევდა,
აწმყოშიაც ნუგეშს ვეღარ ვხედავ,
მომავალსაც აწმყოს ფერი დაჰკრავს,
ცხოვრების გზა დამილოცე დედავ!

ქვიშის კოშკებს დაემსგავსა ძმობა,
სიყვარული აკვანშივე კვდება,
ზნეობას კი დასწყებია ხმობა,
ერთგულება ფესვებშივე დნება.

მხოლოდ სიზმრად ვებრძვით ჩვენ მტრის ლაშქარს,
რომ განვაგდოთ ტკივილი და სევდა
და მეც დარდმა გამიჩერა სისხლი,
მხოლოდ სული მაძლევს ბრძოლის ნებას.

თუკი გვერდს მე გამიმაგრებს ძმობა,
თუკი დაო, მანდილს შემომახვევ მკლავზე,
იბერიის დროშას მე ავღმართავ,
და დავანთებ სიყვარულის სანთელს.

რატი გაგოშიძე
10 სექტემბერი 2015 წელი

## სრულიად საქართველოს თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის: „ერის უფლებისა და ღირსების" დამფუძნებლისა და თეორიულ-ინტელექტუალური ლიდერის, ფილოსოფიის დოქტორის, პროფესორის, ქ-ნ დენიზა სუმბაძის (1-3 მაისი 2015 წელი)

# მ ი მ ა რ თ ვ ა

### პოლიტიკური მოძრაობის: „ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების" ლიდერებს: კავშირის თავმჯდომარეს ბ-ნ ნოდარ კიკნაძეს, კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, ბ-ნ ნუკრი ბაღდავაძეს, ჰელსინკის ქართული „კავშირის" ერთიან წარმომადგენლობას - თანამშრომლობის მემორანდუმისათვის.



ძვირფასო თანამემამულენო და თანამებრძოლნო საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქვეყნის თვითმყოფადი განვითარების უფლებამოსილების დამკვიდრებისათვის!
მე მინდა, პირველ რიგში, მადლობა გითხრათ იმ სულისკვეთებისათვის, იმ ღვაწლისათვის, იმ დიდი ერთგულებისათვის, რომლითაც თქვენ შეინარჩუნეთ და აცოცხლეთ მეოცე საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის პირველი უჯრედი: „ჰელსინკის კავშირი"

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების შედეგად, რომელიც ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ლიდერობით „ჰელსინკის ჯგუფის" დაფუძნებით დაიწყო და მონოლითური ეროვნული მოძრაობა შექმნა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოსაპოვებლად, როგორც დავინახეთ, წარმატებით მივიდა პირველ რეალურ შედეგთან და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით არსებული ჩვენი ქვეყანა გამოვიდა „რუსეთის იმპერიად" წოდებულ , მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოებრივი გაერთიანების შემადგენლობიდან: ეროვნული მოძრაობის ლიდერის, ზვიად გამსახურდიას თაოსნობით ჩატარებული სახალხო რეფერენდუმით მთელმა ქართველმა ხალხმა დაუჭირა მხარის აქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოზრიოზის იდეას და ქვეყნის განვითარებას დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობის გზით (1991 წ. 31 მარტი).

„ჰელსინკის ცნობილი ქარტია“, - რომელიც 1975 წელს იქნა მიღებული მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოების წარმომადგენლობათა ხელმოწერით ქალაქ ჰელსინკში, კაცობრიობას აუწყებდა მეოცე საუკუნის ადამიანური გონით გააზრებულ ყველაზე პროგრესულ პრინციპებსა იდიალებს, რომლებითაც კაცობრიული ცხოვრების წარმართვა და სახელმწიფოებრივი ორგანიზებულობა ამ მართვისა, მთელი მსოფლიოსთვის ერთიანი და შეთანხმებული უნდა ყოფილიყო.

საქართველოში ანთებული ცეცხლი ეროვნული მოძრაობისა გულისხმობდა ქართველი ერის ინტერესების გაერთიანებას მსოფლიო ინტერესებთან , რომელშიც თვად ქართველი ერის ინტერესების დაცვა გარანტირებული უნდა ყოფილიყო , გარანტირებული უნდა ყოფილიყო სწორედ მსოფლიოს იმ სრული სამართებლივი აზროვნებით, რომელსაც კონკრეტულად ამ ეტაპზე წარმოადგენდა „ჰელსინკის ქარტია,,

მოგეხსენებათ, ჰელსინკის ქარტიით აღებული სტარტი და მრავალწლიანი მოწამეობრივი ბრძოლა ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებისა და მათთან ერთად მთელი ქართველი ერის , რომელიც დამთავრდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოსვლით დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში, უმოკლეს დროში შეწყდა და ამ შეწყვეტის პროცესის ანალიზი, თავადვე მოასწრო დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტმა , ზვიად გამსახურდიამ. როგორც ცნობილია, თავის ინტერვიუში, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა გაზეთ „ ნაროდნაია პრავდა“ - ში , მან გარკვევით განაცხადა, რომ „სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში ,რომელმაც საქართველოს პრეზიდენტის განდევნის სახე მიიღო, დაიგეგმა ოკეანის გადაღმა!

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ აზრს მთლიანად იზიარებს ჰელსინკის კავშირის დღევანდელი წარმომადგენლობა. „1991-93 წლების მოვლენების შედეგად კანონიერი ხელისუფლება დამხობილ იქნა სამხედრო გადატრიალების გზით, რომლის სულისჩამდგმელი გარე მასონური სამყარო იყო“- ბრძანებს საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის წევრი სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო საკითხებში, „საქართველოს ჰელსინკის კავშირის ეროვნული აღორძინების“ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის დეპარტამენტის სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე, საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ბ-ნი თამაზ ხუციშვილი. ბ-ნი თამაზ ხუციშვილის ცნობით 1991 წელს მარტისათვის საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას უკვე მოპოვებული ქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ.(იხ. „საქართველოს ჰელსინკის კავშირის ჟურნალი: „მატიანე“ , N3-4, 22.XII.2014წ.)

აშშ-ს პრეზიდენტის ცნობილი განცხადება, რომ ზვიად გამსახურდია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა, ანუ ეროვნული ინსტიტუტების დამკვიდრების მიმართულებით მსოფლიოში, უკვე ნიშნავდა იმას, რომ მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ინსტიტუტები, ანუ ის დინება პოლიტიკური პროცესებისა, რომლებშიაც ჩაერთო ქართული ეროვნული მოძრაობის ერთი ნაწილი, ერთიანად უპირისპირდებოდა არა პიროვნულად ზვიად გამსახურდიას, არამედ - საერთოდ ქართულ ეროვნულ მოძრაობას, ქართველი ერის ეროვნული თვითმყოფადობის განვითარების იდეას. აშშ-ების პრეზიდენტის განცხადება, რომ ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდიოდა, უკვე ნიშნავდა იმასაც, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის საყრდენად მსოფლიოში არ იდგა არც ჰელსინკის ქარტია. რამდენადაც საშუალება მქონდა გავცნობოდი იმ დროის ხედვას , ზვიად გამსახურდია იმედოვნებდა ჰელსინკის პარტიის განვითარებასა და სრულყოფას იმ ინტერესების დასაცავად, რომელიც ამ დროისათვის ქართულ ეროვნულ მოძრაობას ესაჭიროებოდა. საერთოდ , უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პოლიტიკური ცნობიერებისთვის სათანადოდ არ არის გაშიფრული სიღრმისეულად, რას ნიშნავდა მსოფლიოსათვის ზვიად გამსახურდიას „დინების საწინააღმდეგო მსვლელობა“ და რატომ აირჩია ქართველმა საზოგადოებამ „მკვდარი თევზების“ პოზიცია , მაგრამ რეალობა ერთია: ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ეროვნული მოძრაობა, ანუ მსოფლიოს ანაბარა დარჩენილი ქართველი ერი , გნებავთ ჰელსინკის პარტიის ანაბარა დარჩენილი , თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობით , უკვე სრულად დაუცველი აღმოჩნდა მსოფლიოში. ვეღარც ჰელსინკის პარტია, აღარც საკუთარი ეროვნული თავგანწირვა ლიდერებისა და თუნდაც მთელი ქართველი ხალხისა, საკმარისი აღარ იყო საქართველოს დამოუკიდებელი

სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად. მსოფლიოს საქარ-თველოს დამოუკიდებლობა კი არ აინტერესებს, არამედ დაუცველი საქართველო. იგი მიემართება ამ დაუცველ საქართველოს. სახელმწიფო მანქანის ხელში ჩასაგდებად და ქართველი ხალხის ერთხმად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის განდევნის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოდის უკვე ზვიად გამსახურდიას „დინების“ უარმყოფელი და მსოფლიოს მხარდაჭერის მფლობელი, მასონური ლოჟის წარმომადგენელი : ედუარდ შევარდნაძე და საქართველოში შემოჰყავს ცნობილი მასონი , ებრაულ-სიონისტური საერთაშორისო მოძრაობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, ცნობილი ბიზნესმენი - ჯორჯ სოროსი და რაც მთავარია, ჯორჯ სოროსის თეორიული პოზიციების შეგირდს, ბ-ნი ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს ეროვნული მოძრაობის იდეოლოგია გადაჰყავს ჯორჯ სოროსის იდეოლოგიაში, ანუ აჰყავს სახელმწიფო იდეოლოგიის

ხარისხში. ედუარ შევარდნაძის მიერ შექმნილი პოლიტიკური პარტია „ მოქალა-ქეთა კავშირი“ და „სამოქალაქო საზოგადოების“ შექმნილი სახელმწიფო იდეალი, რომლის სამსახურშიც დგება საქართველოს ხელისუფლების სახელმწიფო კურსი, მთლიანად თანხვედრილია ჯორჯ სოროსის „ღია სამოქალაქოს საზოგადოების“ თეორიისა , რომელიც გადმოცემული აქვს მას თავის ისტორიულ მოხსენებაში: „ეროვნული დიქტატორები ღია სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ“ (1993 წ.). ბ-ნი სოროსი ჩვენს ეროვნულ განვითარებას იმაში ხედავს , რომ ქართული ეროვნული არსებობიდან გარდავისახოთ ეროვნული უმცირესობის არსებობაში. წლების შემდეგ, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შეფასების განცხადებას თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ჩართავს როგორც „უცხოური დაზვერვის მიერ ორგანიზებულ ძალიან დიდ დანაშაულს“ , რეალურად საქართველოს ხელისუფლებაში საკუთარი მოსვლის შეფასებებსაც დადებს , რადგან შევარდნაძის მოსვლა და სააკაშვილის მოსვლაც, ორივე ერთიდა იგივე ძალის მიერ იყო ორგანიზებული. სააკაშვილი პირდაპირი განგრძობა იყო შევარდნაძის აზროვნებისა და პოლიტიკური კურსის. თუ „ რევოლუცია“ ეთქმის ეს იყო ქართველი ხალხის შეცდომაში შეყვანით, ქართველი ხალხისავე ხელით განდევნა ერთხმად არჩეული საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ასეთი რევოლუციების დიდოსტატები მხოლოდ ებრაული ჭკუისა და ცნობიერების მფლობელი ძალები შეიძლება იყოს. ქართველი ხალხის ერთი ნაწილის გულუბრყვილო გონება იმ დროს, როცა ზვიად გამსახურდიას აძევებდა, ვერ ხვდებოდა იმას, რომ მსოფლიოს მასონური მოძრაობა, ქართველ ხალხისავე ხელით, ზვიად გამსახურდიას კი არა, არამედ ეროვნულ მოძრაობას აძევებდა საქართველოდან. ამრიგად, ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს ეროვნული მოძრაობა შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური იდეების თანხვედრი იდეოლოგიით, რომელიც წმინდა სიონისტურ - მასონური მოძრაობის შორსგამიზნული ინტერესების გამომ-ხატველი იყო. კერძოდ: „სამოქალაქო საზოგადოების“ შექმნის პოლიტიკური იდეალით. პირდაპირ შეიძლება ითქვას: შევარდნაძემ საქართველოს ხელი-სუფლებაში მოსვლით, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ეროვნული მოძრაობა შეცვალა ანტიეროვნული მოძრაობით, რადგან „სამოქალაქო საზოგადების“ მიზანი ეროვნული სახელმწიფოების მოსპობა და ქვეყნის პატრიოტი მკვიდრი ერების ისტორიული პრიორიტეტების უარყოფა იყო, მსოფლიოს მრავალფეროვანი ეროვნული ლანდშაფტის მოშლა, უეროვნებო მსოფლიოს შექმნა და ერთი ერის , ებრაული ერის არსებობის უფლების დაცვა მთელი მსოფლიოს მიერ. ამ ერს ე.წ. „ანტისემიტიზმის“ დროშით უკვე მოპოვებული ქონდა მეორე მსოფლიო ომში გაღებული დიდი მსხვერპლით საკუთარი ინდივიდუალობის დაცვის უფლება. ეს გახლდათ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის, ანუ „მეორე მსოფლიო ომის“ შემდგომი მსოფლიოს ახალი წესრიგის ფარული მოდელი: ანუ ერთი ერის - ებრაელი ერის მსოფლიო, როგორც ერთიანი მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების. სამოქალაქო საზოგადოების ამ მოდელით მთელი მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში, ნებისმიერი მოქალაქისათვის იგივე უფლების მინიჭება ნებისმიერ ქვეყანაში, რაც ადგილობრივ, მკვიდრ, ქვეყნის პატრონ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს, ნიშნავს მსოფლიოში ეროვნული საზოგადოების მოშლას და ერთიანი , ყველა ხალხის მსოფლიოს შექმნას ყველა ქვეყანაში. ახლა შევადაროთ ეს მსოფლიო მოდელი ებრაული რელიგიის , როგორც საიდუმლო მოძღვრების სპეციალისტის, ცნობილი კაბალისტის - მიხაილ ლაიტმანის განმარტებას ადამიანისა და ღმერთის ურთიერთმიმარ-თებისას დედამიწაზე: „Книга „Зоар„ как и вся Тора, говорит толко о созданий-человека и его отношениях с Творцом. Все внутренние свойства человека Тора называет именами нашего мира: с тремлением к Тварцу называется „Израиль„ стремление к самоудовольствиям називается „народы мира„ (М. Лаитман – Книга Зоар. Кабала. Таиное Учение М. 2003 ср. 190).

ამასწინათ, ინტერნეტის საინფორმაციო გვერდებზე, მიხეილ ლაიტმანის ერთ-ერთი მიმდევრის, დღევანდელი ისრაელის სულიერ მისიაზე მოფიქრალი კაცის განცხადებას წავაწყდი: იგი სიამაყით საუბრობდა იმაზე, რომ ისრაელი დღეს ყველაზე მდიდარი ქვეყანაა მსოფლიოში, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბურია, იგი პირველი ქვეყანა გახდა მიწათმოქმედებაში, რომ ისრაელის მთავარი პრიორიტეტი დღეს ტექნოლოგიებია და მსოფლიო მოქალაქეებად ცხოვრების მთელი ისტორია მან უნდა გამოიყენოს თავისი ახალი სულიერი მისიისათვის: იგი უნდა წარმოჩინდეს როგორც გამაერთიანებელი კაცობრიობისა. სამწუხაროდ გვარი და სახელი არ ჩავინიშნე ამ პიროვნების. მაგრამ ეს იყო განაცხადი ჩვენი დღევანდელობის ისრაელისა, დღევანდელი სიონისტური სულისკვეთების, რომელსაც საქართველოში, მსოფლიოს ახალი წესრიგით შემოსვლამ სოფლის მეურნეობა ჩაალპო, ეკონომიკა დაანგრია, ქართველ გლეხს, თავისვე ხელით, ვაზების გაჩეხვა დაავალა, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან მიწის ქერქი აჰრა და ისრაელში გაზიდა, ისრაელის პარლამენტს კი მიაღებინა კანონი ებრაელი ერის ტიტულოვანი წოდების ძალაში შესვლისა საკანონმდებლო წესით.

საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ , თავის საანგარიშო მოხსენებაში პირდაპირ განაცხადა : ჩვენ არ ვაშენებთ ქართველი ერის - სახელმწიფოს, ჩვენ ვაშენებთ საქართველოელთა სახელმწიფოს. ცნება: „საქართველოელი“ ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის. ამგვარად საქართველოს ეროვნული მოძრაობის მონაპოვარი დამოუკიდებელი სახელ-მწიფოებრიობა, მსოფლიოს მიერ გამიზნულ სამოქალაქო საზოგადოების შესაქმნელად და ქართველი ერის ინტერესების გასაძევებლად უკვე ხელისგულზე დებდა ახალი დამპყრობლის ვინაობას : ეს გახლდათ მსოფლიოს ახალი წესრიგის შემოქმედი საერთაშორისო მოძრაობა: ებრაულ-სიონისტური მოძ-რაობა, რომელიც

თავისი სიცოცხლის დასასრულს, ზვიად გამსახურდიას უკვე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და მკვეთრადაც გამოთქმული, 1992 წლის ინტერვიუში (იხ. Народная Правда. N42, 1992 წ.) , მაგრამ სრულად არ ჰქონდა გაცნობიერებული ქართველ ხალხს, ქართულ საზოგადოებას. სწორედ ამით სარგებლობდა ის ძალა და ქართველი ხალხისავე ხელით, შესძლო, მისივე , ქართველი ხალხისავე ინტერესების გამომხატველი ხელისუფლების დამხობა და გაძევება.

